



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030402914253615

№ 04-339/ო

19 / ოქტომბერი / 2015 წ.

**ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების გაფორმების თაობაზე**

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების ზოგიერთი საკითხის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და პროგრამების ზედამხედველობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 57-ე მუხლების, პროგრამების ადმინისტრირების ზოგადი პირობებით განმახორციელებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგ(ებ)ი სტატუსით - „არ ექვემდებარება ანაზღაურებას“ გაფორმდეს წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით -გადაწყვეტილება მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ (იხ. ნიმუში, დანართის სახით N1).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, განმახორციელებლის სახელით, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოთ:

ა) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილი);

ბ) სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსებს ან მათი ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, უნდა დაერთოს დადგენილი ფორმის ოქმი, რომელიც მოიცავს შესაბამისი სამედიცინო შემთხვევების ჩამონათვალს.


4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექვემდებარება რეგისტრაციას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემაში და დაერთვება მე-3 პუნქტში აღნიშნული ოქმი, დანართის სახით.

5. ამ ბრძანებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და/ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი პირობებით, შესაბამისად, სააგენტოს ცენტრალურ აპარატში (თბილისი, აკ. წერეთლის N144) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

6. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

-----  
მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების დასახელება და მისამართი

-----  
მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი

-----  
მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი

## გადაწყვეტილება

-----  
ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის/კომპონენტის დასახელება

### შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ

დანართის სახით, გეგზავნებათ ოქმი იმ სამედიცინო შემთხვევების ჩვენებით, რომლებსაც, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, ქვემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების გამო და მითითებული საფუძვლებით:

---

---

---

---

---

---

---

*აღინიშნება ფაქტობრივი გარემოებები (თითოეულ სამედიცინო შემთხვევაზე პროგრამის კონკრეტული მოთხოვნის დარღვევის მოკლე აღწერა და პროგრამის ის ნორმები, რომლებიც საფუძვლად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას (მ.შ., პროგრამის მე-16ან/და 22-ემუხლების შესაბამისი პუნქტები)*

### განესაზღვრათ სტატუსი - „არ ექვემდებარება ანაზღაურებას“.

*აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და/ან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი პირობებით, კერძოდ, ადმინისტრაციული საჩივრით - სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ აპარატში (ქ. თბილისი, ა. წერეთლის N144) ან სასარჩელო განცხადებით - ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.*